საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელიზბარაშვილი მელორ ირეოდიონის ძე

ელიზბარაშვილი მელორ ირეოდიონის ძე (დ. 13. XI. 1939, ბორჯომი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (1999). 1964 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. მუშაობდა საქართველოს პოლიტექ. ინ-ტის რადიოტექნიკის კათედრაზე, 1965–80 – ლენინგრადის მეტროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბილისის ფილიალში. 1980-იდან პედ. საქმიანობას ეწევა საქართველოს ტექ. უნ-ტის რადიოტექნიკის კათედრაზე. ე. იკვლევს უწყვეტი ერთ და მრავალგანზომილებიანი სიგნალების ორთოგონალური და არაორთოგონალური გაშლის ოპერატორების გამოთვლითი მდგრადობის საკითხებს.

თხზ.: შეტყობინებათა გადაცემის ციფრული სისტემების საპროექტო გადაწყვეტათა სისწორის მაჩვენებლების ანალიზი, თბ., 2008 (თანაავტ. ა. ბერიძე).